

თავისუფლება



825 / 2
1976

საპარტიზმოს განთავისუფლებისათვის მებრძოლთა ორგანო
სარედაქციო კოლეგია: გიორგი ნოზაძე, მიხეილ ქავთარაძე, გიორგი წერეთელი.

TAVISSOUPLEBISS TRIBOUNA

Journal périodique en langue géorgienne

N° 13 — PARIS — AOUT 1976

აზვისტო პარიზი № 13

1924 წ. მარალი დიდება

52 წელია, რაც ქართველმა ხალხმა საყოველთაო აჯანყების დროსა ააფრიალა. მიუხედავად დამარცხებისა, 1924 წლის აგვისტო შესანიშნავი თარიღია საქართველოს ისტორიაში, 26 მაისთან ერთად ის გამოხატავს ქართველი ერის ურყევ ნებას შექმნას დამოუკიდებელი სახელმწიფო, განახორციელოს თვითხელმწიფობა.

ავისტოს გამოსვლები ხასიათდება იდი პატრიოტული ალტკინებით, მთელი ქართველი ხალხის ერთსულოვნებით. მოვალეობის ნათელი შეგნებით და ქემშარიტი რაინდობით. მაშინ როდესაც რუსული ხიშტებით გამარჯვებულმა მოლაღატე ქართველმა ბოლშევიკებმა მხეტარად დაარბიეს ქვეყანა, უიარაღო, პატიმრობაში მყოფი ასობით შესანიშნავი მამულიშვილი ამოხოცეს, როგორც ავაზაკებმა. განუკითხავად დასაჯეს ბრლიანი და უბრალო.

კრემლმა და მისმა ქართველმა ლაქიებმა შეძლეს აჯანყებულთა ფიზიკური განადგურება, მაგრამ მათ საქმეს

ვერაფეო დააკლეს რადგანაც იგი ცოცხლობს თვითეულ ჩვენთავანის გულში. ბრძოლა გრძელდება და გაგრძელდება. ავისტოს მსხვერპლთა ნათელი სხოვნაც ცოცხლობს და იცოცხლებს.

წელს კიდევ უფრო მძიმე პირობებში უხდება საქართველოს ამ დაუციფყარ თარიღთან შეხედრა. ჩვენი ძვირფასი დედაენა აშკარად საფრთხეშია. მილეღარების, აღშოთების ხმები გვესმის იქიდან. ემართლებათ კიდევაც! ქართველი ხალხი, უსიკედილოდ არავის დაანებებს რუსთაველის ენის დამციგრებას, მის კუთხურ კილოცავად გადაქცევის. მაგრამ ნებათა ღელვას არ უნდა ავაყვით. გული გონებას უნდა დაუმორჩილოთ და მძიმე ჭაანის ერთად და ფრთხილად უნდა გავწიოთ. დღევანდელი ლოშუნვი უნდა იყოს: სიფხიზლე და სიფრთხილე, სიღინჯე და მოფიქრება.

მ ქ რ ო ს ს ა წ მ ი ს ი

№ 1. თბილისი. მაისი 1975.

„თავისუფლების ტრიბუნის“ რედაქციისაგან.

ჩვენი ორგანოს უკანასკნელ 11—12 ნომერში ვიუწყებოდით, რომ ჩვენამდე მოაღწია ზვიად გამსახურდიას რედაქტორობით, „თვითგამოცემის“ წესით გამოცემულმა კრებულ „ოქროს საწმისის“ პირველი ნომრის ფოტოასლმა. ვინაიდან სხვა ეგზემპლიარა არსად გამოჩნდა,

ჯერ-ჯერობით, ვინაიდან მისი შინაარსი საინტერესოდ მიგანინა ფართო საზოგადოებისათვის, და ვინაიდან ერთ წიგნად მისი გამოცემისათვის საჭირო სახსარი არ გაგვანინა, ვიწყებთ მის ნაწილ-ნაწილ გამოქვეყნებას.

გარდა მასალების ჩვენ მიერ რიგისა, ტექსტებში არაიციანი ცვლილება არ შეგვაქვს და დედანთან სრული იგივეობის პასუხისმგებლები ვართ.

საწმისი, საწვომისი, ღრუბელს ნიშნავს ქართულად. მეცხრე საუკუნის ქართველი ჰიმნოგრაფი დალადებს:

„ვადიდებთ საიდუმლოსა შენსა ღვთისმშობელსა, რამეთუ რომელი იგი უხილავ არს ძალთაგან ზეცი-სათაგარდამოხდა შენ ზედა, ვითარცა წვიმაა ს ა წ მ ი ს ს ა ზედა, ხსნისათვის ჩუენისა, მაქებელთა შენთა,“

საწმისი, საწვომისი, წვიმის მშობელია, ვითარცა ღვთის-მშობელი ქრისტესი. ლოგოსის, რომელიც გარდმოხდა უღ-ვიობის გვაღვით გადაშმარ მიწაზე, ვითარცა წვიმა გან-მაცხოველებელი. საწუკვარია წვიმა ხანგრძლივი გვაღვის შემდგომ, ასევე საწუკვარია ს ი ტ ყ ვ ა. ხანგრძლივი იძულებითი მღვთარების შემდგომ — აი, რატომ დაერქვა ჩუენს ეურნალს „ოქროს საწმისი.“

„ოქროს საწმისი“ მარადეამული სიმბოლოა კოლხური, ქართული კულტურისა. ცივილიზებული მსოფლიოს მკვიდ რნი კოლხეთად უფრო იცნობენ საქართველოს, ვინაიდან ყველას ახსენდება არგონავტების მითი, მეღეა, ოქროს საწმისი,

ოქროს საწმისი მისტერიათა სიბრძნის სიმბოლოა, რო-მელიც კაცობრიობის გზადსვლის გარიჟრაჟზე ჰყვავდა ჩუენს მიწაზე; არგონავტებიც ამ სიბრძნეს ეზიარნენ და ამ სიბრძნის ვადატანამ ბერძნულ მიწაზე აღმოაცენა დი-დი ბერძნული კულტურა.

ვერძის ზოდიაქოს განმგებლობის ეპოქაში ზეცით გარ-დმოვლენილი კოსმიურ ძალეებთან ზიარების სიმბოლოა ოქროს ვერძი, ხლო ამ ზიარების შედეგად აღმოცენებუ-ლი სიბრძნე — საწმისია ცხოველყოფელი წვიმის მომ-დენი. დაე, ნუმც შეეწყვიტოს არსთა მხადს ეს წვიმა, ეს მაღლი და ჩუენც, ამ მისტერიის შემგნებლებმა აგრე მივ-მართთ მას:

გვედრი დაიფარე მამული ჩემი,
შენი წილხვდომილი, კვართომოდლებული,
მარად სხივოსანთა უკვდავთა თემი,
სადაც წარმოგზავნე ბარძიმი ქებული.
სად გარდმოვალენე ვერძი ზეციური,
და ოქროს საწმისის მაღლი მზიური
ამოაიციკროვენე, ვით წყარო ცხოველი,
რათა ზიარებით აღწევდეს ყოველი.
სად ჰსახე დაევი, მეფე და მგოსანი
და სეტიცხოველი ჰყავ გვირგვინოსანი.
შენი ბარძიმა წმინდა ივერია,
მისი განმართლება შენს ცაზე სწერია,
შენს თანა ჯვარცმული. შენს თანა ვნებული,
გულს ლახვარსობილი, საფლავს დადებული,
შენს თანა დაფლული ოთხის დღის მკვდარი,
ღმერთო, აღადგინე, და მოეცე ჯვარი,
ცათა დიდება ხარ და თემთა მთენი,
აჟურთზე უფალო, სამეკიდრო შენი!

ზედად გამსახურდია.

შინაპარსი:

1. მარადი დიდება.
1. ოქროს საწმისი.
ზედად გამსახურდია.
3. ნუ დავივიწყებთ ქართულ ენას!
ნოდარ წულუაძისი.
რევაზ ჯავახიძეს სიტყვა..
6. ვეგბირი დედაენის დასაცავად.
7. უცხოეთში მცხოვრებთ თანამეამულებთან კულ-ტურულ კავშირის საზ-მა და ეროვ-ლი ემიგრაცია.
გიორგი წერეთელი.
8. ამერიკის შ. შ. 200 წლისთავი.
ნიხელ ქავთარაძე.
10. ანდრეი ამარლიკის გადმოსახლება ცნობეში საქართველოდან.
11. ამერიკული პრესა საქართველოზე.
12. † ალექსანდრე კინწურიშვილი.
გ. ნ.
12. † დიმიტრი სინჯიკაშვილი.
ნიხელ ქავთარაძე.
13. † დოქტორ გეორგ ბრაუნეი.
ნიკოლოზ ჯანელიძე.
13. † ერასტო მაქავარიანი.
გრიგოლ წერეთელი.
14. სამგლოვიარო განცხადებები.
14. 1976 წლის საეკლესიო კალენდარი.
15. ეურნალი „მერანი“.
მ. ქავთარაძე.
16. ანტუან კომპანიონის რომანი „ბრძოლები“.
გ. ნოზაძე.
16. ჩუენი ფონდი.

საქართველოს დამოუკიდებლობის დღესასწაული

წელსაც დიდი პატრიოტული ალტკინებით ჩატარდა საფ-რანგეთში:

22 მაისს, 20 საათიდან დილის 3 საათამდე საზეიმო მი-ტინგი, რომელსაც მოყვა ვახშამი ქართული ფოლკლორით და დამთავრდა თანამედროვე ცეკვებით.

დღით 26 მაისს, 11 საათზე სოვ. ლევილის ქართველ ძმათა სასაფლაოზე.

18 საათზე მანიფესტაცია პარიზის უცნობ ჯარისკაცის საფლავზე, რის შემდეგ წმიდა ნინოს ეკლესიაში გაიხ-დენ იქნა პარაკლისი.

რედაქციის მისამართი.

G. TSERETELI

193, RUE DES MARCHAIS
75019 PARIS - Tél. 607-08-14

ნოდარ ფულიისკირი

წუ ღაპივიწყაბთ მუმობლიურ ანას!

(სიტყვა წარმოთქმული ელუარდ შვედარნაქსთან შებედრის დროს, მწერალთა კავშირში).

ჩვენს ცხოვრებაში დიდი მოვლენა მოხდა. უცებ, ერთის დარტყმით შეიცვალა ერის „ოზიგატელური“—კარკული ყოფა და ახალი პარტიისანი ცხოვრება დაიწყო.

არ შეიძლება ყოველი ქართველი აღფრთოვანებით არ შეხედეს ჩვენი პარტიის ასეთ პოლიტიკას; ცენტრალური კომიტეტი ცენტრალურ კომიტეტს დაემგვანა, სახელმწიფო დაწესებულებები სახელმწიფო დაწესებულებებს, პარტიის წევრი პარტიის წევარს.

ბუნებრივია, ასეთი შეუზავარი, თავგანწირული სახალხო მოღვაწეობა დიდ პატივისცემას იწვევს და მტკიცე მხარდაჭერას მოითხოვს. მე დღეს, არა მარტო მხარს ვუჭერ, უსაზღვროდ ერთგულიც ვარ ჩვენი პარტიისა, და ეს ერთგულება მამედინებს მოურიდებლად, თავისუფლად ვთქვა ის, რაც მაწუხებს: საბ. კავ. კომ. პარტიის წესდებამი ნათლად გვიწერია: „პარტიული პოლიტიკის საკითხების თავისუფალი და საქმიანი განხილვა ცალკეულ პარტიულ ორგანიზაციაში ან მთლიანად პარტიაში, პარტიის წევრის განუყოფელი უფლება და შინაპარტიული დემოკრატიის დიდმნიშვნელოვანი პრინციპია. მხოლოდ შინაპარტიული დემოკრატიის საფუძველზე შეიძლება გაიშალოს კრიტიკა და თვითკრიტიკა და განმტკიცდეს პარტიული ერთობა...“

პარტიის, ხალხისა და საქმის ინტერესი მოითხოვს სწორედ, თავისუფლად და საქმიანად განვიხილოთ პარტიული პოლიტიკის ზოგიერთი საკითხი, კერძოდ: საქართველოს პარტიული აქტივის კრების ანგარიში ის ნაწილი, სადაც საუბარია ინტერნაციონალიზმზე და ხალხთა მეგობრობაზე. ანგარიში გამოქვეყნდა გაზეთ „კომუნისტში“.

ვფიქრობ, რომ ან ეს ანგარიში არ გამოხატავს პარტიული აქტივის კრების მიერ შინაარსს, ან დაშვებულია სწორედ ის შეცდომა, რის წინააღმდეგ, თითქოს უნდა ებრძოლა რესპუბლიკის პარტიულ აქტივს.

გაზეთში ვკითხულობთ: რომ მოსკოვის საიუბილეო სხდომაზე აღუთმინავთ შემდეგი: „საბჭოთა ადამიანები-სათვის უცხო და ზიზღის მომგვრელია ამპარტანელი აზრი ერთი ხალხის მეორეზე უპირატესობის შესახებ და მით უმეტეს, ეროვნული თუ სასობრივი განსაკუთრებულობის ბოღებით დღეები.“

დაახ, ჩვენ ლენინის პარტია გვასწავლიდა და გვასწავლის ხალხთა შორის მეგობრობისა და ძმობის დემოკრატიული პრინციპით წარმართავს, უპირატესობა არც ერთ ერს, თანაბარი უფლებებით ერთად, მტურად ცხოვრება. ვაზ. „კომუნისტში“ კი ვკითხულობთ:

„რესპუბლიკაში ინტერნაციონალური აღზრდისათვის მუშაობაში წამყვანი ადგილი უკავია ხალხთა მეგობრობის იდეების და განსაკუთრებით რუსი და ქართველების მეგობრობისა და ძმობის განმტკიცების იდეის პროპაგანდას, რომლებსაც ინტერირული ფესვები საუკუნეებში აქვთ გადავლები.“

და შემდეგ დასაბუთებულია ეს „განსაკუთრებულობა“ შემდეგნაირად: „ჩვენ მუდამ უნდა გვახსოვდეს და ვაფასებდეთ დიდი რუსი ხალხის პროგრესულ ისტორიულ მისიას საქართველოს მიწა-წყალზე. მხოლოდ რუსეთთან საქართველოს ნებაყოფლობითაა შეერთებამ იხსნა ჩვენი ხალხი ფიზიკური განადგურებისაგან.“

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, პარტია ვადაქრით იბრძვის ყოველგვარი განსაკუთრებულობის წინააღმდეგ და ამ დროს „განსაკუთრებით რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობის მოთხოვნა ცოტა არ იყოს უხერხული მეჩვენება. ეს სამართლიანი მოთხოვნაც არ არის, რა დააშავა სომეხმა ხალხმა, ქართველი და სომეხი ხალხების მეგობრობას ხომ არა ნაკლები ისტორიული ფესვები აქვს. რა დააშავა უკრანელმა ხალხმა, რომლებთან მართლაც იშვიათი, ლამაზი მეგობრობა გვაქვს ირვინს გურამიშვილის მიერ დაფუძნებული, რა დააშავეს ლიტვამ, ლატვიამ, ესტონებმა, სხვა მოძმე ერებმა... ღმერთმა დაიმიფაროს პუჰკინის, ტოლსტოის, დოსტოევსკის გარდაცვალების, ცნობილი ჩვენი საყვარელი ადამიანების სამშობლოსა და ხალხზე მე, ქართველმა მწერალმა აუცი ვთქვა, მაგრამ ჩემთვის ამგვარი ინტერნაციონალიზმი გაუგებარია, სხვა არ იყოს რა ეს ხომ პარტიისანი აზრით არ არის. იქნებ მე ვაზვიადებ, იქნებ ის ერთი აზნაცია არაზუსტი, იქნებ უნებლიე შეცდომაა დაშვებული. სამწუხაროდ, მიერ ამ ანგარიშს ზედმეტად გადაკრავს რუსი ხალხის განსაკუთრებულობის სურვილი. მომყავს კიდევ ერთი მაგალითი:

„რუსული ენა, ოქტომბრის ენა, დიდი რუსი ხალხის ენა დიდი და მძლავრია. იგი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე აღიარებული ენაა. და ეს ენა უნდა იცოდეს რესპუბლიკის თვითელმა მცხოვრებმა. ასეთია ამოცანა, ასეთია ცხოვრების მოთხოვნა!“

ჩემთვის გაუგებარია გამოთქმა „რუსული ენა — ლენინის ენა“, ვითომ რას უნდა ნიშნავდეს ეს? გერმანული ენა მარქსის ენაა მაგალითად, ხოლო ბერძნული რომ პლატონის ენაა, ამით რა დასკვნამდე მივალთ?

მსოფლიოში ყველაზე აღიარებული ენა მარტო რუსული არ არის, ასეთი ენები ბევრია. რა საქარია ასეთი გამოცალკეება, ყველაზე აღიარებული ენა სხვა არის და საერთაშორისო ენა სხვა.

ამოცანა კი რომელიც აქტივის კრებამ ქართველ ხალხს დაუსახა მე ვფიქრობ დიდი ხანია გადაწყვეტილია. რუსული ენა რესპუბლიკის თვითელმა მცხოვრებმა იცის.

მე მგონი აკტივის კრება ყოველი ქართველისაგან არ მოითხოვს რუსული ენის სრულყოფილ ცოდნას, თუ ამის მოითხოვს, გაუვებრობა იქნება ალბათ.

პირიქით, ხალხს ქართული დააეცივდა, თორემ რუსული ესმით კიდევ და მშვენიერადაც ლაპარაკობენ. მე მოვიტან ორ ტანიურ მაგალითს თუ როგორ გადავიწყვედათ ქართული დასავლეთ საქართველოს ბევრ რაიონში და აღმოსავლეთ საქართველოს აგრეთვე ბევრ რაიონში.

ენგურპესში, სოფელ ფოცხოვეურში მე და ერთი ახალგაზრდა — ადგილობრივი მკვიდრი თაღვანი კაშხალის მშენებლობას ვათვალიერებდით.

— ენგური სადღაა? — ვეკითხები ახალგაზრდას.

— იქ აბავანოი ტუნელა ვაკეთებელი და შიგ შედის ენგური — მისხნის ახალგაზრდა.

— რა გვირბაია ასეთი რომ ენგურს ამავრებს, — ჩემთვის ეთქვი მე.

— კრუკომ ბეტონია, პადოშიც ბეტონისა აქვს — მითხრა ახალგაზრდამ. პადოში ალბათ რაღაც საინჟინრო ტერმინია-მეთქი და ახალგაზრდას ახსნა ვთხოვე.

— პადოში არ იცი რა არის? — გაუკვირდა მას — პოლია ვაკეთებელი, ყელეზობეტონის პოლი — ამისხნა.

— ის რა არის? — ძალა ზეცაში ავიხედე დაბნულში. — ის კაბელკრანია, აქეთ რომ არის ის მოსტია ვოზელში. — ამ სიმაღლის ხიდზე ადამიანი გადადის?

— კი, ვადაისი, ხომ ხედავ პერლებზე აქვს ვაკეთებელი.

— გასაგებია, — სევდიანად ვუთხარი მე. ამ მიდამოებს რა ჰქვია? მთებისა და ენგურის ჭალებისსაკენ გავიშვირე ხელი. — ამას, კრუკომ. რასაც ხედავ, პრაივი ბერეგი ჰქვია. — მომიგო მან,

თავხარი დამეცა. — თქვენ აქაური ხართ თუ არა?

— აქაური ვარ, აბა სადაური ვარ!

— მერე შენი სოფლის სახელი როგორ დაგავიწყდა? ფოცხოვეურის არ ჰქვია ამ სოფელს?

— ახლა პრაივი ბერეგია, ფოცხოვეურის აღარავინ ეძახის.

მეორე მაგალითი. ამ მაგალითს მე მოვიტან გიორგი ნატროშვილის ერთ-ერთ საუკეთესო წერილიდან: „სიტყვა და დედაშიწა“.

„კოლმეურნეობის თავმჯდომარე, (თავის მდივანს მიმართავს): — მისწერე რაიონის სოფლტექნიკას: პერედოკი გვინდა, კონჩისეკი, ტრინიკი...“

ბრივადირი (ხევეუბა საწყობის გამგეს):—შენი ჰირომე. შკორენი უნდა მომცე. — გამოაწერინე კანტროაში და მოგეცე. — წუ თუ არ იცი, რა ჰქვია ქართულად შკორენს?

არ იცის, მაგრამ ის იცი, რომ არიან ვიღაც მოცილილი აღამიანები, რომლებიც სხედან საღვაც, თავიანთ კაბინეტებში და ჩვენს საწყვალბლად იგონებენ რაღაც ქაჯურ სიტყვებს. ასე ფიქრობს. ამიტომ მისი პასუხი ირონითი საესეა:

— რა ჰქვია? ერქმევა ალბათ კლიპურტე, ან კლიპოლა, სულ ერთია. მაგას არივი არ იხმარებს. რა თქვინდა თუ კაცს ვერ გაავებინებ!

ასე ფიქრობს, ფიქრობს იმიტომ რომ ტენის განხრევა ეხარება, თორემ არაფერია უფრო ადვილად წარმოსათქმელი, ვიდრე ის სიტყვა, რაც ქართულად შვირენ ან შვიროენს ჰქვია. ათასეული წლების მანძილზე არ ყოფილა არცერთი დღე, როცა ქართველ გლეხკაცს ეს თუ მეტჯერ არა, ათჯერ მაინც არ ესხენებინოს; ეს ხომ ტაბიკია, თავტაბიკი და უმიხოსლ გლეხკაცი ფეხს ვერ გადადამადა.“

აი. ასე მეტყველებს ჩვენი ამერ-იმერი. ახლა ენახოთ შიგ-შუაგულ თბილისში რა ემავია.

ეს დიალოგი, რომელსაც ახლა წაგიკითხავთ, საბურთალოში ჩავიწერე, საბურთალო მე განგებ ავიღე, ავლაბარს და იროთაქალაში რა ენაზე მეტყველებენ დიდი ხანია ცნობილია.

დილით ადრე საბურთალოს იოხსართულიან კუბოებივით ჩამწყვიტებულ სახლებს შორის, ახალგაზრდა დედა ძუძუთა ბავშვს დაასვირნებდა. ერთგან, მეორე სართულის ფანჯარაში თავი გადმოჰყო ლამაზმა ქალმა და ბავშვიან ქალს მიესალმა:

— პრევეტ, დარაგაია, როგორა ხარ? — ნიჩეო, თქვენ როგორა ხართ? — ქვევიდან ჰკითხა ქალმა. — ისე რა, ყივოლი... დასვირნებ? — რა ეჭნა, ახლა კოკლეში ჰირს, ყოველთვის რაღაც ჰირს, უყვას პრაიმი, ვაჰქირა საქმე, — შესჩვილა ბავშვიანმა მეზობელს.

— ნამტანი სემეინაია ვახლი, ვამოიარე, ეს რამხელა გაზრდილი! — ქალი ბავშვს შორიდან ვეთამაშა. —


— ნანა, ნანოქა!.. ხელი დაუქნია, დედამ ბავშვის პატარა ხელი გაუწოდა და უთხრა: დასვიდანია ქენი, დედა, დასვიდანია...“

ფანჯრიდან ქალმა დაუძახა: — დასვიდანია ნანა, დასვიდანია. — უთხარი დასვიდანია, რა მოვიცილა! — გაუჯავრა და დედა.

ბავშვა როდის-როდის დაუქნია ქალს ხელი. ძალით „აქნევიცნს დასვიდანია!“

როგორც ვხედავთ დასავლეთ საქართველოში ხალხს საკუთარი სოფლის სახელი დავიწყნია, კახეთში გლეხს ტაბიკის სახელი, თბილისში ძუძუთა ბავშვს რა ენაზე ებუღუღებინან ხომ ენახეთ, ახლა ერთი თვლის გადავლენთ გავისენით, თუ როგორი მუღმივი კავშირი აქვს ქართველ ხალხს რუსულ ენასთან. რუსულ ენას ყველა ქართველი სწავლობს ცხრა წლის ასაკიდან სიკვდილამდე.

რუსულ ენაზე საქართველოში გამოდის უამრავი ყურნალ-გაზიტი და წიგნი, გახსნილია უამრავი რუსული სკოლა, უნივერსიტეტსა და სხვა უმაღლესი სასწავლებლებში გვაჭვს რუსული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტები და კათედრები, მშენებლობებზე, ტრანსპორტზე, კავშირგაბმულობაში, ფაბრიკა - ქარხნებში,



თვით ცენტრალურ კომიტეტსა და მინისტრთა საბჭოში წარმოება რუსულ ენაზე.

ხოლო ყოველი ქართველის ოჯახში დგას ტელევიზორი რუსული ენის დიდი პროპაგანდისტით.

ყოველივე ამის შემდეგ, კვლავ რუსული ენის სწავლებისაკენ მოწოდება, მტკიცე მოთხოვნა, ყოველმა ქართველმა ტელევიზიით იკლდეს რუსული ენა მიღად სამართლიანი მოთხოვნა ვერ იქნება.

მინდა ვაგახსენოთ კიდევ ერთი ფაქტი: ჩვენი რესპუბლიკა უმაღლეს დონეზე განვითარდა, ე. წ. დიპლომატია რესპუბლიკა გახდა. მაგრამ იშვიათად თუ იპოვით კარგ ექიმს, კარგ ინჟინერს, კარგ აგრონომს, კარგ პედაგოგს.

რატომ მიხდა ეს. რა არის ამის მიზეზი? მიზეზი ის გახლავთ, რომ ახალგაზრდას ყველაფერს დასწავლით გარდა მშობლიური ენისა, მშობლიური ისტორიისა, ამიტომ ძისი აზროვნება შეზღუდულია. მკედარია, რაღაც იცის, მაგრამ გამოთქმა უჭირს, საბოლოოდ ცუდი სპეციალისტია როგორც დიდი ილია ვასაწყვლის: მშობლიური ენა და ისტორია გონების საზრდაო, უმიმსოდ ვერც სხვა ენას ისწავლი ადამიანი და ვერც ექიმობასა და ინჟინრობას.*)

იქნებ ჯობდა ვაზეთ „კომუნისტს“ ჯერ ქართული ენის საფუძვლიანი სწავლებისათვის შეიწყობინა და შემდეგ მოეთხოვნა რუსული ენის საყოველთაო შესწავლა.

ახლა ჩვენი პატრიცემულის ყურადღება უნდა მივაპყრო ერთ მთავარ საკითხზე: არსებობს ძალზე სერიოზული და თითქმის განუკურნებელი თეორია, რომ ჩვენი დროში კანონზომიერ მოვლენად იქცა ერების დაახლოება და ენების შერწყმა, (სბლიენიე და სლიანიე), რომ ეს მოვლენა თანდათან გაძლიერდება და თანდათან წარმოიშობიან ჯერ ორენოვანი ერები, შემდეგ საერთო ნაციონალური ენის ჩამოყალიბება დაიწყება და ბოლოს კომუნისტებში ხალხები ილაპარაკებენ ერთ ენაზე. ეს ენა იქნება რუსული ენის მსგავსი, ოღონდ ახალი ენა.

ამ თეორიით ქართველ ხალხს ვუბნებთ შემდეგ: „თქვენ გვლით შესანიშნავი მომავალი. თქვენ იცხოვრებთ კომუნისტში, ე. ი. იცხოვრებთ ისეთ საზოგადოებაში, სადაც მოთხოვნილების მიხედვით გექნებათ ყველაფერი: საქმელ-სამელი, ჩასაცმელ-დასახურავი, ბინა, ავეჯი, მანქანა, ყველაფერი ის. რაც დღეს გაცალია, ოღონდ არ გექნებათ ენა. არ იქნებით ქართველი, დაკარგავთ ეროვნულ თავისებურებას, დაკარგავთ საქართველოს.“

*) ამას წინააღმდეგ, აშშ-ში დაყენებული იქნა ასეთი ცდა: აპონელი ბავშვების ნაწილს პირველდაწყებით და საშუალო განათლება მიადიბნის ინგლისურ ენაზე, ხოლო მეორე ნაწილს — იაპონურ ენაზე. აღმოჩნდა, რომ იმ ბავშვებმა, რომელთაც მშობლიურ ენაზე მიიღეს განათლება, გაცილებთ უკეთ განვითარეს თავიანთი ნიჭი და უნარი, და უკეთესი სპეციალისტებიც გახდნენ. ვიდრე ინგლისურად აღზრდილნი. (რედაქტორის შენიშვნა).

ეს თეორია დამაჯერებელი არ ჩანს. ერთი საერთო ენის წარმოქმნის შესაძლებლობა ძალზე საეჭვოა. ენების განვითარების ისტორია ამის არავითარი საბუთს არ წარმოადგენს ისტორიას არ ახსოვს სხვადასხვა ენების შერწყმით (თუ არ ასიმილაციით, ე. ი. ძალით), ერთი ენა წარმოიშობილიყოს. პირიქით. ერთი ფუძე ენიდან წარმოიშობა მრავალი ენა. მაგალითად: ქართული ფუძეენიდან წარმოიშვა შემდეგი ენები: მეგრული, სვანური, ლაზურ-ქანური, შესაძლოა აფხაზურიც და მთელი იბერიულ-კავკასიური ენები. სლავური ენიდან წარმოიშვა რუსული, უკრაინული, ბელორუსული, პოლონური, ჩეხური, სლოვაკური და სხვა. ხალხური ლათინური ენიდან წარმოიშვა რომანული ენები: იტალიური, ფრანგული, პროვენსული, პორტუგალიური, ესპანური. კატალონური და სხვ.

არსებობს ისეთი მოსაზრებაც, რომ საერთოდ, ყველა ენა ერთი ენიდან წარმოიშვა.

გარდა ზელოვნური ენისა — ესპერანტოსი, რამდენიმე ენიდან ერთ ენის წარმოქმნის ფაქტი ისტორიამ არ იცის. ესპერანტო კი ხალხს არ გამოადგა და იგი დიდი ხანია უარყო.

ეს საკითხი, რასაკვირველია, უფრო ღრმა და სერიოზულ შესწავლას მოითხოვს. მე იმედი მაქვს, რომ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი შეიმუშავებს მტკიცე, შესაძლოა, ახალ პოზიციასაც კი ნაციონალურ საკითხში, რადგან დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ მწყობრი მარქსისტულ-ლენინური ახალი თეორია ეროვნულ-ურთიერთობის დარღვევა, ცხოვრების მოთხოვნილებაა.

ყოველივე ზემოთქმულიდან რა გამომდინარეობს? — გამომდინარეობს ის, რომ ენების თანდათანობით დაახლოვება და ერთ ენად შერწყმა ისტორიული კანონზომიერება არ არის. ქართული ენის დავიწყება და რუსულის შესწავლა ცხოვრობის მოთხოვნილება არ არის, იაენანას სცველად ყრმის სასოფელთან „დასცილდანი ქენის“ ტიტნი ისტორიული აუცილებლობა არ არის. კონსტიტუციის დარღვევა და ქართულ სახელმწიფოდან ქართული ენის გაძევება ობიექტური რეალობა არ უნდა იყოს.

ამიტომ, გამოუსწორებელ შეცდომასა და დანაშაულს ჩადის ჩვენი ინტელიგენცია, როდესაც ქედმაღლურად, ირინულად უფურცბენ ქართული ენის დამცველებს და ქარის წისქვილებთან მეტროძოლ დონკიხოტებად ნათლავენ მათ, რადგან ყოველივე ის, რაც დედა ენას ქირს, ცხოვრობის მოთხოვნა. ობიექტური კანონზომიერება ჰკონიათ.

რა სიტყვაა „ფრილი“? — მხრების აჩეჩით კითხულობენ ისინი. ცხოვრებამ ხომ „ტამაონი“ დაამკვიდრა! ვინ მოიგონა შაქრის ფხენილი, როცა „აქსოკი“ შემოვიდა და დამკვიდრა.

რა საჭიროა ქართულად კინოფილმების თარგმანა, როცა რუსულად შესანიშნავად გვესმის ყველაფერი, და სხვა და სხვა...

ქართველი მწერალი, რა თქმა უნდა, მეზიანებს და უმცირებს კი არა. თვით ჩვენი სახელგანთქმულ ენათმეცნიერსაც კი ვერ დაეთანხმება ამ საკითხში. ვერ დაეთანხმება იმათ, ვისაც ქართულ ენაში სხვა ენის უსაზღვრო შემოჭრა ბუნებრივ მოვლენად მიანჩნა და მისი შეჩერება უმიძღვრ საქმე ჰგონია.

მიემართოთ ისევე ისტორიას, ცნობილია, რომ მე-19 საუკუნის შუახანებისათვის განსაკუთრებით იძლეა რუსულმა ენამ საქართველოში, მაშინ შემოიჭრა და დამკვიდრდა ბევრი რუსული სიტყვა ქართულ ლექსიკონში. რუსული ენის ასეთი ნიადაგივით შემოჭრა მაშინაც ბუნებრივი მოვლენა ეგონათ. ჩვენი დიდი პედაგოგი და სათაყვანებელი მამულიშვილი იაკობ გოგებაშვილი 1898 წ. აურხალ „მოამბეში“ შემფოთებულნი წერდა: „სულ ტყუილად ჩაივლია ბრძოლა მწერლობაში წინააღმდეგ სტოლისა, კახანაძისა, შაქვისა, მღინისა. ყველა ეს დამპირ, (მებრელი) ჩვენში უცხოეთიდან შემოვიდა, ცხოვრებამ შეითვისა, მათი სახელიცა ქართულ სიტყვებად მიიწვინა და მათ მაგიერი სხვა უცხოები ტერმინების ხმაარება მწერალთა მიერ დაბადებს წინააღმდეგობას საუბარსა და წიგნ შორის, ცხოვრებასა და ლიტერატურას შორის, და როგორც ყოველთვის, აქაც ცხოვრება გამარჯვებული გამოვა...“

— „რასა ქება მაგიდა, — გაევირებული კითხულობდა გოგებაშვილი — ხალხმა სრულიად არ იცის. ჰკითხეთ გურულებს, მეგრელებს, აზერებს, ქართლ-კახეთის და ყველასგან მიიღებთ პასუხს: პირველად გვესმის, არ გავიგონია აწნობამდინ, არ ვიცით. თუ ეყვირთ მაგიდა სტოლსა ჰქვიან, გეტყვიან, სტოლს სტოლი ჰქვიან, მაგიდა რომ განაღდა. ამჟამად სტოლი სრულიად ქართული სიტყვა; რომელსაც ხმარობს სამი წლის ბავშვიც და ასი წლის მოხუციც. „მაგიდა“ კი უცხო სიტყვაა, რომელსაც ვერც ხალხში და ვერც ნასწავლ საზოგადოებაში ვერავისგან ვერ გაიგონებთ...“

„ეს ძველი სიტყვა ახლა მთლად და სრულიად მკვდარია...“ — განაზორობდა გოგებაშვილი — „ბრძოლა უქმი იქნება, რეფორმა შეუძლებელია.“

იაკობ გოგებაშვილზე უფრო დიდი პატრიოტი დღეს მე საქართველოში ცოცხალი აღმანი არ მეგულება, მაგრამ როგორც ცხოვრებამ გვიჩვენა ი. გოგებაშვილი ცდებოდა ამ საკითხში, ბრძოლა უქმი არ აღმოჩნდა, ქართველმა ხალხმა, სხვა ხალხებთან ერთად, დიდი ბრძოლა გადინა და თავისუფლებისა და საკუთარი თვითყობადობის მოსაპოვებლად და მიღწევა კიდევ მიზანს. ლენინური ნაციონალური პოლიტიკის საფუძველზე, საქართველოს სსრ კონსტიტუციით შეძლო საკუთარი ნაციონალური კულტურისა და ენის შენარჩუნება, მისი აყვავება და გაფორმება. შეძლო სწორედ ის რეფორმა, რომლის იმედი გოგებაშვილს არ ჰქონდა.

რევოლუციის დიდი მონაპოვარის დაკარგვა არ შეიძლება, სისხლით მოპოვებულის წყალში გადაყრა/დანაშაულია.

ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ პატრიოტიზმი ნილიისტური დამოკიდებულება, სამწუხაროდ, თვით ამ ერების წიაღშიც გაჩნდა; სულერთია ერთ დღეს მაინც აღარ ვიქნებითო, რა საქითაა მშობლიური ენისა, — ასე ფიქრობენ და ბავშვები ქართულის ნაცვლად რუსულ სკოლაში შეჰყავთ.

რატომ ვაყვირებთ ამას. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამაში გვიწერია: „სსრ კავშირში, კომუნისტური გამარჯვების შემდეგ, კიდევ უფრო დაახლოვდებათ ერები, გაიზრდება მათი ეკონომიური და იდეური ერთობა, განვითარება მათი სულიერი სახის კომუნისტური ნიშნები. მაგრამ ერთგვარად განსხვავებათა, განსაკუთრებით ენობრივ განსხვავებათა წაშლა მნიშვნელოვანად უფრო ხანგრძლივი პროცესია...“

როგორც ვხედავთ, პროგრამაში კატეგორიულად არ წერია ეროვნული და ენობრივი განსხვავებანი წიშლენბო. გარდა ამისა, რაც მთავარია, ჯერ კომუნისტური უნდა დაშარდეს, შემდეგ იწყება ერების კიდევ უფრო დაახლოვება და ეკონომიური-იდეური ერთობა, ხოლო ეროვნულ განსხვავებათა და განსაკუთრებით ენობრივ განსხვავებათა წაშლა ამის იქით არის განაარადევი.

მაშ, დაველოდით კომუნისტების დამყარებას, მანამდე კი ქართულ ენას ნუ დავევიწყებთ, რუსულ ენასთან ერთად მშობლიური ენაც კარგად შევისწავლოთ და ვიზრუნოთ მისი კანონზომიერი განვითარებისათვის, აყვავება-გაფორმებისათვის.

(გადმომეძლია სიტყვის სტენოგრაფიდან).

ბ. ჯაფარიძის ნიშნის შინაარსი.

ა/წ. 23 აპრილს, თბილისში, საქ. საბჭოთა მწერლობის მეშ კრილობაზე, სიტყვით გამოვიდა ცნობილი მწერალი რიგზე ჯაფარიძე. კი სიტყვა ადგილობრივ პრესაში არ გამოქვეყნებულა. მისი სტენოგრაფიული ჩანაწერის რუსული თარგმანი თვითგამოცემის გზით მოვიდა დასავლეთში. მოკლე შინაარსი ამ სიტყვისა შემდეგია:

გასულ წელს საქართველოს სათანადო ორგანიზებამ მოსკოვიდან მიიღეს საბჭოთა კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეცნათლების მინისტრის — ელიუტინის ბრძანება, რომლის მიხედვითაც უმაღლესი სასწავლებლის სახელმძღვანელოები უნდა გამოიჭრს რუსულ ენაზე. ამის შედეგად გაუქმდა ქართველ სწავლულთა მთელი რიგი ორიგინალური სახელმძღვანელო.

ასევე, კრემლიდან მიღებული ბრძანების თანახმად, პულიკაციები დისერტაციებზე და თვით სწავლულთა საბჭოს სხდომების სტენოგრაფიები მოსკოვს უნდა წარედგინოს რუსულ თარგმანში.

ამერიკული ბაჭთმეზი საქართველოზე

გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსმა“ 15 მაისს, სათაურით „აღამ სმიტი საქართველოში“ და გაზეთ „ტიმ“-მა 24 მაისს, სათაურით „ეს ქართველი აჯანყებულები“, მიუძღვნეს წერილები საქართველოს, რომელთა შინაარსი, მოკლედ, შეიძლება ასე ვაღმაროცხავ: საქართველოში არსებობს საკმაოდ ფართო ქსელი ფარული კერძო წარმოებების, რომელიც მხოლოდ მოგების პირინკებს ემორჩილება. ეს ქსელი ამარაგებს შვედ ბაზარს, სადაც მომხმარებელს შეუძლია შეიძინოს, როგორც საქონელიც, ისე მომსახურება. საბჭოთა მომხმარებელი სულ უფრო და უფრო მეტად მიმართავს წარმოების ამ ფარულ ქსელს, რადგანაც სახელმწიფო მომარაგების ქსელი სრულიად მოშლილია და იქ ის ვერ აკმაყოფილებს თავის მოთხოვნილებებს. საბჭოთა ხელისუფლებას მაინჩია, რომ წარმოების ეს პარალელური ქსელი უპირესად მავნეა მისთვის და უკვე დიდი ხანია ბრძოლის აწარმოებს მის წინააღმდეგ. ეს ბრძოლა განსაკუთრებით გამძაფრდა მის შემდეგ რაც საქართველოს კომუნისტურ პარტიის უფროსად გახდა ედუარდ შევარდნაძე და ამ ბრძოლის შედეგია ის მრავალი კრიმინალური ხანძარების და ბომბების აფეთქებები, რომლებსაც ადგილი აქვთ საქართველოში, ამ უკანასკნელ ხანში, ერთი სიტყვით, ამ გაზეთების მიხედვით, თუ დასავლეთში უკიდურეს მემარცხენეების აზროვნებას ასაზრდოებს მარქსი, ტროცკი და მათ, საქართველოში უკიდურეს მემარცხენეთა მოქმედებას ასაზრდოებს ადამ სმიტი.

აქ საქართველოში მოგვიჩინა განმარტება: უღვათა, მიველ საბჭოთა კავშირში არსებობს კერძო წარმოების ფარული ქსელები, რაც ცხადია, გამოწვეულია სახელმწიფო წარმოების და მომარაგების სრული უფარვისობით. წარმოების ამ ფორმას ადგილი აქვს საქართველოშიც, მაგრამ არც მეტად და არც ნაკლებად ვიდრე კავშირის სხვა რესპუბლიკებში. ამიტომ გაუგებარია ერთი და იგივე მიზეზები, რატომ არ იწვევს ერთ და იგივე შედეგებს რუსეთში და საქართველოში? ეკონომიური ხასიათის წინააღმდეგობებს მუდმივად განიცდის საბჭოთა ხელისუფლება და იგი უპირესად სერიოზულია, მისი ყოფნა არ ყოფნისათვის, მაგრამ ამ უკანასკნელ სამ წელიწადში, საქართველოში მომხდარი ღრმა ცვლილებები, უმთავრესად, პოლიტიკური ხასიათის იყვნენ — კერძოთა ნაციონალური შოტივებით, და ტერორისტული აქტებით ამ პოლიტიკურ ცვლილების შედეგია. მხოლოდ, კრემლის საერთაშორისო პოლიტიკისათვის მეტად მავნეა იმ ფაქტის აღიარება, რომ საბჭოთა კავშირში ადგილი აქვს ეროვნულ ჩაგრვას და მით გამოწვეულ პატრიოტულ წინააღმდეგობას, ამიტომ ის ავრცელებს ხმებს, ვითომც საქართველო განსაკუთრებული რესპუბლიკა იყოს, სადაც გაბატონებულია აკრძალული კერძო წარმოება, საკუთლაცია, კორუპცია, მექრთამეობა, მძაბიჭობა, მათლი-მამობა და სხვა „ძველი დახასხებული გადმონაშთი“, რომლის წინა-

აღმდეგაც, ვითომ, საბჭოთა ხელისუფლება აწარმოებს ბრძოლას. ამ ხმებს ურეზერვოდ ღებულობს ზოგიერთი გულუბრყვილო კორესპონდენტი და თავაზიანად მსჯელობს ხელებს.

კრემლის მიერ გაზეთ „ტიმ“-ის გაბრძობვა იქამდეც კი მივიდა, რომ ის თვალის დაუხამხამებლად აცხადებს: „საქართველო არის საბჭოთა კავშირის სიცილი. ქართველები საყოველთაოდ ცნობილი არიან, როგორც გვაროვნული (კლან) ფსიქოლოგიის მქონე, ადგენილი და ციბერი ხალხი“-ო. მართალიც რომ იყოს, მიეღი ერის ასე დახასიათება მის ავტორს და გაზეთის რედაქციას სრულიადაც არ ამაღლებს.

ნიუ-იორკ ტაიმსი, 15 მაისი 1976წ.

„დამოუკიდებლობის ცეცხლი ღვივის საბ. საქართველოში“

განსხვავებით ზემოდ ხსენებულ სტატიებისა, ამ წერილის ავტორს, ბატონ დავით კ. შიპლერს უმოგზაურია საქართველოში და ცდილა ვაეგო ქართველი ხალხის სულიერი განწყობილება და საქართველოში არსებული მდგომარეობა. როგორც სათაურიდანვე ჩანს, მას კარგად შეუძინებია რუსული ასიმილიაციის არსებობა, მაგრამ, გასაგებად მიზეზების ადამა, ზეიად გამასხურდის გარდა (რომელსაც ვითომ ყავს მხოლოდ 20—30 თანამზრახველი) ეერაინ უნახავს. რომელიც საჯაროდ პროტესტს აცხადებდეს ამის შესახებ. ავტორის აზრით: „რაც არ უნდა იყოს ის ჩუმი მიმდინარეობა, რომელიც ქართველი ხალხს სეპარატიზმში შობს, ის ღრმად არის ჩაფლული ქართულ კულტურის და საბჭოთა პოლიტიკის წესების მოჩვენებით შეგუბაში“.

—[=]—

შეცდომის ბასწორება.

„თავისუფლების ტრიბუნა“ 11—12 ნომერში, საფრანგეთში მცხოვრებ ქართველთა სათვისტომოს საერთო კრების შესახებ წერს, ახლად არჩეულ გამგეობის წევრების სიაში, ჩვენდა უნებურად, გამოჩენილია პატონი **ოთარ პატარიძე**. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ **ოთარ პატარიძე**, ავტო 7 წელია, გამგეობის მორაგა და სერიოზულ, მეთოდურ მუშაობისათვის, სარევიზო კომისიის წინადადებით, საერთო კრებამ განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა. იქნებ ზედმეტი არ იქნება დაუმტობთ ისიც, რომ **ოთარ** წლები განმავლობაში წარმატებით ხელმძღვანელობს ქართულ ხალხურ სიმღერების ახალგაზრდების გუნდს და წმიდა ნინოს ეკლესიის მგალობელთა გუნდს.

† ალექსანდრე კინწურიშვილის გარდაცვალება

25 ივნისს, ლევილის ძმათა სასაფლაოზე დაკრძალეს ალექსანდრე კინწურიშვილი. განსვენებული იყო საფარანგეთის ჯარის კომანდანი პენსიაში ვასულო.

მისი სამხედრო კარიერა დაიწყო საქართველოს დამოუკიდებლობის დროს თბილისის სამხედრო სასწავლებელში. ეს ქართული სკოლა ქართულ ჯარს მეთაურებს უზრუნველყო. ჯერ კიდევ მოწაფეებს, ამ სასახელო ახალგაზრდებს თავებადადებულ ერთეულს, ტაბანგელაზე მოუხდებოდა ბრძოლა, რუსული წითელი ჯარის წინააღმდეგ, რომელიც საქართველოს მოულოდნელად თავს დაესხა.

ალექსანდრე კინწურიშვილი, ტაბანგელადან ბათუმამდე ყველა გმირული ბრძოლების შემდეგ საფარანგეთს ადარჯნს თავს, საფარანგეთში, სხვა სამამოებრებთან ერთად. (ა. ჯინჭარაძე, გ. ოდიშელიძე, თ. თხაძე, ვ. ვანაძი) ახლანდელს სამხედრო სკოლას როგორც სულეტიცნატი.

აქედან იწყება მისი სამხედრო სამსახური, რომელიც დასრულდა კომენდანის ჩინით. ამ ხნის განმავლობაში მან მიიღო მრავალ ბრძოლაში მონაწილეობა. დაჯილდოებული იქმნა მრავალ ორდენით. პენსიაზე გასვლის შემდეგ ის ინიშნება ქართული ოფისის დარეგულირებად, გარდაცვლილ ჯ. ასათიანის ადგილზე. რამდენიმე წელი პირუთინგად ემსახურა ქართველ გამომგზავნიერებს და ამით დაიმსახურა სიერთო პატივისცემა. წაივიდა ამ ქვეყნიდან დიდთა ვაჟობიძილი.

კომანდანი ალექსანდრე კინწურიშვილი დასაფლავებული იქმნა ლევილის ძმათა სასაფლაოზე. დაესწრო პარონის მთელი ქართველობა. დასაფლავებაზე წარმოადგენილი იყო განსვენებულის სამხედრო ნაწილის ოფიცრობა, ერთი საპატიო ათეული. გენერალ ჯან ოლიეს მეთაურობით, (საფარანგეთის გენერალური შტაბის ყოფილი უფროსი), რომელმაც თავის გამოსახვიარ სიტყვაში თქვა:


„ფრანგული მხედრობის, უცხოელთა ლეგიონის და ჩემი პირადი სახელთ, უკანასკნელ მძურ საღამს გიძღვნი!

„თქვენ იყავით თქვენი სამშობლოს საქართველოს სიყვარულით შეპყრობილი. სხვა მხნე ქართველ ახალგაზრდებთან ერთად, პირველი დიდი ომის შემდეგ, თქვენ მოდიდით საფარანგეთში, რომ ემსახუროთ მის დროშას. ეს მასშაბური მუდამ ერთგული და კათილშობილური იყო. ყოველ მდგომარეობაში თქვენ იყავით მხნე და ღირსეული ოფიცერი, ყველას მიერ საყვარელი და დაფასებული. უცხოელთა ლეგიონი არასოდეს დაგივიწყებთ!

საფარანგეთში მცხოვრებ ქართველებს და ყოველ მხედრებს, რომლებიც ამ ბოლო დროს დიდა დაწავლეს განიცადეს. ვუცხადებ ჩემს გააღწეველს სამძიარს.

თქვენ ქალბატონო, და თქვენს ოჯახს ვთხოვ მიიღოთ ჩემი უღრმესი მუწუხარება და პატივისცემა,

მშვიდობით ჩემო მეგობარო! თქვენ განსვენებულ თქვენ თანამებძულეთა შორის, ფრანგულ მიწაზე, დღე მძიმე არ ყოფილიყოს თქვენთვის ეს მიწა“.



† დიმიტრი სინჯიკაშვილი

ამა წლის 26 ივნისს, ნიუორკში, მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა დიმიტრი (მიტო) სინჯიკაშვილი. მისი გარდაცვალებით უცხოეთის ქართველობას გამოაკლდა უდავოდ უტეხი ადამიანი, ამის ცხადსაყოფად ის ფაქტიც კმარა, რომ მას, უკვე რამდენიმე წლის წინად გადატანილი ფრანგ მძიმე ოპერაციის შემდეგ, ფიზიკურად ძლიერ დასუსტებულს, მოქმედებაზე ხელი არ აუღია და გასაცვიფრებელი მხნეობით საქვეყნო საქმეს ემსახურებოდა, ვიდრე უტურნებელი სენის წინააღმდეგ ნაცადმა მეორე ოპერაციამ არ იმსხვერპლა.

მიტო სინჯიკაშვილი დაიბადა სოფ. ვაქარში (ახეთი). პირველდაწყებით სკოლაში სწავლობდა სიღნაღში, ხოლო საშუალო განათლება თბილისში მიიღო. სადაც მისი ოჯახიც გადასახლდა. იგი, ჯერ კიდევ თითქმის ბავშვი, გაება არაღვთავლად მუშაობაში, — მისი უფროსი ძმა ვანო, რომელიც ჯალათებმა დახვრიტეს, წვერი იყო ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის ახალგაზრდათა ორგანიზაციის ცენტრალურ კომიტეტისა. მძიმე დაკარგვამ, პარტიოტურ კნებას უფრო გაუღვივა სამშობლოს სიყვარული და მტრისადმი იძულებული გაუძლიერა. იგი თბილისის ახალგაზრდათა ორგანიზაციის ერთი, ყველაზედ მოქმედი და ბეჯითი წევრთაგანი იყო. ყოველი ენაზოდი, ამ ორგანიზაციის ფათერაკებთა სავსე წარსულისა. ასე თუ ისე, მ. სინჯიკაშვილის მეტნაკლები მონაწილეობით ხდებოდა.

ავისტოპს აჯანყების შემდეგ იგი იძულებულია სამშობლო დატოვოს და უცხოეთში გაიხიზნოს. საფარანგეთში ჩამოსული, დაუყოვნებლივ მუშაობაში ჩაებმევა. ჯერ კიდევ საქართველოში, არაღვთავლურ ფურცლების ბუქდვანში მონაწილეს, მას ასე თუ ისე წარმოადგენა ჰქონდა ბეჭდვითი საქმეზე. ეს გამოცდილება მან ემიგრაციაშიც გამოიყენა მისთვის ასეთიარყოფა შეისრულა და ემიგრაციაში გამოსაკცემ უფრანგებსა და წიგნებს აწყობდა.

იგი ერთი ხელმძღვანელთაგანი იყო ჟურნალ „ახალი ივერია“-ში, რომელიც ომის წენ გამოდიოდა.

ომის დროს მ. სინჯიკაშვილი ჯერ ფრანგულ ჯარში იყო გაწვეული და გერმანელებთან ტყვეთა ჩაეარდნის შემდეგ განთავისუფლებული. გარმანელებთან ერთად რუსების წინააღმდეგ მოქმედი ქართული სამხედრო ერთეულში ირიცხებოდა. ომის შემდეგ მან ორიოდე წელი იტალიაში დაყო, საიდანაც ეგრეთხულ მშატებელში წაივიდა. ამერიკაში მრავალ წელთა განმავლობაში მისი ხელმძღვანელობით გამოდიოდა გაზეთი „ქართული აზრი“, რომე-



ლიც ემიგრანტულ გამოცემათა შორის, ერთერთი საუკეთესო გაზეთად უნდა ჩათვალოს.

განსვენებული, პირად ცხოვრებაში თავაზიანი მორიდებული და კეთილი კაცი იყო — მეგობრისთვის თავდადებული.

სულ სხვაგვარი იყო იგი საზოგადოებრივ ასპარეზზე. აქ იგი არავის დაინდობდა თუ ვინმე, მისი ქვეყნის ინტერესების შემლახველად ეგულებოდა, რადგან ქვეყნის ინტერესი იყო მისი წმინდა წმინდა და იგი სხვისაგანაც იმგვარ თავდადებას მოითხოვდა, როგორც მას თვითვე გააჩნდა. მღელვარე და მოუსვენარი იყო მთელი მისი სიცოცხლე. მხოლოდ უღმობელმა სიკვდილმა შესძლო მისი დაწყნარება, მაგრამ სიკვდილის დღემდე ისე მივიდა რომ რწმენა არ დაჰკარგავია იმ საქმის სიმართლისა, რომელსაც ემსახურებოდა. არც იღნავ იქვე შეჰპარვია ამ საქმის უძველეს გამარჯვებაში.

დაე ამ საქმის გამარჯვებამ დაამშვიდოს მისი მშფოთვარე სული.

მ. ქავთარაძე.

† ბიორგი ბრატნი წმინდა

გარდაიცვალა გულის სივანერით, როდესაც ის 66 წლის იყო, — ქ. ჰამბურგში.

დოქტორი გიორგი ბრატნი წერეთელი, ამაყი იყო თავისი დედით — ანასტასია გიორგის ასული წერეთლის. მის ვაჟს იოხიმს მეორე სახელად ქართველ ბაბუას სახელი ვარდნი დაარქვა.

გიორგი იყო მეცნიერული ასისტენტი ჰამბურგის უნივერსიტეტში პროფესორ მიულსფელდთან სტატისტიკის დარგში, შემდეგ გადაიყვანეს მთავარ რედაქტორად უბერზენერუნდშაუ-ში, ბოლო წლებში კი იყო მთავარი წარმომადგენელი ჰამბურგის ინდუსტრიის გაერთიანებული წრეების. ის დიდად მიღებული იქნა თერაპიში, შაჰის და მისი მეუღლის მიერ, როდესაც იყო მოწყობილი ჰამბურგის ინდუსტრიის გამოცემა.

მოუხედავად მრავალი მოვალეობისა, გიორგი ბრატნი არასდროს არ ივიწყებდა საქართველოს და ქართულ კულტურას. მისი გამოკვლევის თემა იყო საქართველოში წერეთლების კულტურული შრომა და მოღვაწეობა, ამისათვის ის რამდენიმე ხნით იყო თბილისში და მიწერ-მოწერაჲ ჰქონდა ამ საკითხზე. უეცარმა სიკვდილმა ვერ დაამთავრებია მისთვის საყვარელი თემა!

მიცვალებული განისვენებს ჰამბურგის სასაფლაოზე.

ნიკოლოზ ჯანელიძე.

არანა ადამიანები, რომლებსაც მხიარულად მოსწონდა საზოგადოებაში. თავიანთი მოსწრებელი სიტყვა-პასუხით, თხრობის მანერით, მსუბუქი, უწყინარი ირონიით, მის ირგვლივ ხალისს და გულიანად სიცილს იწვევენ. საზოგადოება მათი მადლიერია და ყოველ მათ გამოჩენას სიხარულით და სიყვარულით ეგებება.

ამ ადამიანებს რიცხვს ეკუთვნის ჩვენი ერისტო მამაპარანი. მამინაც კი როცა ის სიკვდილის სარეცელზე იწვა, თითქოს სიკვდილსაც მასხარად იგდებდა, სანახაოდ მოსულ მის მეგობრებს ამხიარულდება და მით შეგნებულად ფანტავდა სიკვდილის აჩრდილის სიხალკით გამოწვეულ მოწყენილობას და მწუხარებას. ამ ძვირფას თვისებას ერისტო წარმატებით უთავსებდა მეგობრის ერთ გულებას. თავის ოჯახზე ფიქრად ზრუნვას და სამშობლოს უნაგარი სიყვარულს და მის ერთგულ მსახურებას. ერისტოს წამდა, რომ სამშობლოს სამსახური მას კველზე უეკეთესად შეეძლო სოციალ-დამოკრატულ პარტიის საშუალებით და ის ამ პარტიის აქტიური წევრი დარჩა სიკვდილამდე. მიუხედავად ამისა ის არ ყოფილა ფანტური პარტიელი, გათიშულობის და შუღლიანობის ჩამომადგებელი, პირიქით, ქართველთა ერთიანობა და სიმტკიცეობა იყო მისი მუდმივი ნატერის და ზრუნვის საგანი.

ერისტოს ჯერ კიდევ სიცოცხლე სწყურდა. მას განსაკუთრებით არ უნდოდა საქართველოს გარეთ დამარხვა. ბედმა სხვა მხრით განსაჯა. 79 წლ ს ასაკში, სიკვდილმა საფრანგეთში მოუსწრა და მისი ნეშტი ლევილის ძმთა სასაფლაოზე განისვენებს.

გავფორმა კიდევ ერთი კარგი ქართველი. საუკუნო იყოს ხსენება მისი!

გრიგოლ წერეთელი.

აწ. 21 მაისს, გერმანიიდან ვადმოასვენეს და ლევილის მიწას მიაბარეს თამარ გომართელი-ლოლიძის დაუეწიყარი მეუღლის, დამით ლალიძის ნეშტი.

ამა წლის 21 ივნისს, ლევილის მიწას მივაბარეთ, არგენტინიდან ჩამოსვენებული თამარ პაპავას და მაცვალა ქვიშვილის ნაშთები.


ტურაბ და ლეონიდე; მზრა და ალექსანდრე

ჭივილიანი ოჯახები

გულითად მადლობას ვუხდით იმ უამრავ თანამგრძობლებს, რომლებმაც ჩვენი დაუეწიყარი თამარ პაპავას და მაცვალა ჭივილიანი დაკარგვით გამოწვეული, ჩვენს თავს დატყობილი უხედავება გაიზარეს.



28682



მწიგნობრივი მუშაობები

ა/წ. 28 აპრილს, პარიზში გარდაიცვალა **მიხეილ (მიშა) ბახტაძე**, რომლის ნეშთიც დასაფლავებულია პერ ლაშევის სასაფლაოზე.

ა/წ. 13 მაისს, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ქ. კალმაში (კალიფორნია) გარდაიცვალა **ნიკოლოზ დავითის ძე დიასამიძე**, დასაფლავებულია სერბიელების სასაფლაოზე.

ა/წ. 8 ივნისს, ქ. ახენში (დასავლეთ გერმანია), 56 წ. ასაკში გარდაიცვალა **ვახო გოგელაშვილი**, დასაფლავებულია ადგილობრივად.

ა/წ. 15 ივნისს, ქ. ჰამბურგში გარდაიცვალა **გეორგ ბრაუნ-წერეთლი**, განსვენებულია კრემაცია მოხდა ჰამბურგის კრემატორიუმში, 28 ივნისს.

ა/წ. 24 ივნისს, პარიზში გარდაიცვალა კომანდანი **ალექსანდრე კინწურიშვილი**, დასაფლავებულია ლევილის მძათა სასაფლაოზე.

ქ. ბრიუსელში გარდაიცვალა **დავით ბერეკაშვილი**. მისი ნაშთი ჩამოსვენებული იქნა და დასაფლავებული, ა/წ. 24 ივნისს ლევილის მძათა სასაფლაოზე.

ა/წ. 26 ივნისს, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა **დიმიტრი (მიტო) სინჯიკაშვილი**, მისი ნაშთი ამერიკიდან ჩამოსვენებული და დაკრძალული იქნება ლევილის სასაფლაოზე, ამა 4 სექტემბერს დიდის 11 საათზე.

ა/წ. 27 ივნისს, 79 წლის ასაკში, ისი ლე მულონოში (პარიზის გარეუბანი), გარდაიცვალა **ერასტო (ერნესტ) მაქციანი**, დასაფლავებულია ლევილის სასაფლაოზე.

13 ივლისს, ნიუ-იორკში გარდაიცვალა **სანდრო (სიკო) კობიშვილი**, 4 სექტემბერს მისი ფერფლი მიბარდება ლევილის მიწას.

ა/წ 25 ივლისს, პარიზში გარდაიცვალა **მედია ნიკოლაძისა**; (ექმი ვახტანგ ლამბაძისის ასული). 28 ივლისს, მრავალრიცხოვანმა საზოგადოებამ მიაცილა ლევილის სასაფლაოზე.

ა/წ. 18 აგვისტოს, ქ. დროს საავადმყოფოში 87 წლის ასაკში გარდაიცვალა და 20-ში ლევილის მიწას მივაბარეთ **გრიგოლ (გრგო) უჩაძე**.

ღრმად დამწუხრებულ სამიძმარს მოვახსენებთ მათ ოჯახებს.

ქართული სამკლესიო კალენდარი

ნახევარი წლის დავიანებით გამოვიდა 1976 წლის საეკლესიო კალენდარი-ალმანახი, როგორც მასზე აღნიშნული, ის საქართველოს საკათალიკოსოს მიერ არის გამოცემული, და მისი შემდგენელ-რედაქტორია ეპისკოპოსი ვაიოხე (კურატორი). წიგნის შინაარსი შეიცავს:

1. სახალწლო მილოცვა კათალიკოს პატრიარქის დავით V-სა.
2. 1976 წლის საეკლესიო ტაბელ-კალენდარი
3. 1976 წლის მთავრის ტაბელ-კალენდარი
4. ძირითადი კალენდარული მანქანებლები. 1976 წ.
5. საეკლესიო დღესასწაულები 1976 წ.
6. მარხები, მსვენები.
7. ქება და დიდება ქართულისა ენისა.
8. სვედრებელი ლოცვა - გლობა ღვთისმშობლის მიმართ.
9. გაბრიელ ეპისკოპოსი.
10. სიტყვა ილია ჭავჭავაძისა — გაბრიელ ეპისკოპოსის დაკრძალვაზე.
11. პასუხი გაბრიელ ეპისკოპოსისა გიორგი მუხრან-ბატონისადმი.
12. სიტყვა გაბრიელ ეპისკოპოსისა ბეწღების შესახებ.
13. ქრონოლოგიური ცნობები ქრისტეს ეკლესიის პირველ საუკუნეთა ცხოვრებიდან.
14. კანონი წმინდათა მოქალაქეთანი.
15. განგება დარბაზობისა.
16. წესი ეპისკოპოსის კურთხევისა.
17. წესი კათალიკოსის კურთხევისა.
18. წესი კათალიკოსის შემოსვისა.
19. კათალიკოსი ანტონი.
20. მსოფლიო საეკლესიო კრებები.
21. საქ. ეკლესიის ადგილობრივი კრებები, 1917 წლიდან.
22. ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიები და მეთაურნი.
23. ავტოკეფალურ ქრისტეან ეკლესიათა მეთაურნი.
24. საქ. ეკლესიის ეპარქიათა მღვდელმთავრები 1976 წ.
25. წესი ჩამოლოცვისა ქართულ დღესასწაულებზე.
26. წესი განტეგებათა, (ჩამოლოცვათა).
27. მთავრის ანგარიში.
28. ქორიკონის გამოანგარიშება.
29. იულიუსის და გრიგორის კალენდრის შესახებ.
30. ცათვრის და ქართული ანგარიში.
31. მიცვალებულთა მოსახსენებელი დღეები.
32. გარდაცვალების თარიღნი კათალიკოს-პატრიარქთა.
33. შეიდეულთა დღეებში მიცვალებულთა სამოციქულო სახარებანი.
34. ქართული ანბანი.
35. არსების ხატის სადიდებელ-სავედრებელი.
36. კალენდარი.
37. ცნობები თამარის შესახებ „ქართლის ცხოვრებიდან“.
38. ხალხური კალენდარი.
39. სია საქართველოს ეკლესიის მამამთავართა.
40. სია დასავლეთ საქართველოს კათალიკოსთა.
41. რუსეთის სინოდის ეგზარხოსები.
42. წმინდათა სახელები.
43. უმთავრესი ლოცვა - მოძღვრებანი

44. მაჩვენებლები სამოციქულო - სახარების საკითხავი მთელი წლის განმავლობაში.
45. ძველი ქართული ენის გამოკრებილი ლექსიკონი.
46. ძველქართული სამოხელეო და საეკლესიო - იერარქიული ტერმინების ლექსიკონი.
47. აღდგომა ქრისტესი. (თარიღები, 1961—2020წ.).
48. აღდგომის დღის თარიღის გამოსანაგარიშებელი მარადიული ცხრილი.
49. სვლა მთვარისა სამარადისო.
50. მუდმივი კალენდარი, (1801—2000).
51. 1977 წლის ტაბელ-კალენდარი.

როგორც აქ ჩამოთვლილ სათაურებიდან, ისე მათი შინაარსების საფუძვლიანად გაცნობის შემდეგ ცხადია, რომ ეს კალენდარი არის დღიად საქირო სახელმძღვანელო, როგორც ღვიძისმასხარებისათვის, ისე მორწმუნეთათვის და თვით ცოცხელ კონფესორებსათვის.

მასალების შერჩევა ნათლად მიუთითებს, არა მარტო ქრისტიანულ ეკლესიის, არამედ, შეიძლება უფრო მეტად, ქართული ენის, ქართული ცივილიზაციის დაცვის და განმტკიცების ზრუნვაზე, რაც საქიროდ და დროულად მიგვაჩნია.

თუ მარალაც ეს კალენდარი მხოლოდ ეპისკოპოს გაიოზ წილენციისაგან არის შედგენილი და რედაქცია ქმნილი, მაშინ არ შეიძლება არ აღენიშნოთ მისი ფართო ერუდიცია და დიდი შრომისუნარიანობა.

ვღებულობთ რა მხედველობაში რედაქტორის პირიქების, არ შეიძლება შემთხვევითი მოვლენა იყოს იმერეთის და ეპისკოპოს გაბრიელის გარდაცვალებიდან 80 წლისთავის ხაზასმა და, განსაკუთრებით, ამ ღირსეულ მწყემის ერთ-ერთი შეანიშნავი ქადაგების, „დაბეზღების“ დაჭედვა. ეპისკოპოს გაბრიელის ამ ქადაგებით, ეპისკოპოსი გაიოზი, მოხერხებულად უქუადაღებს მის წინააღმდეგ აღბრუნ საჩივრებს და მათ ცილისწამებად აცხადებს. შეუძლებელი არაფერი არ არის! და ჩვენ პირველები დავგმობთ ცრუ მახეზღრებს. მაგრამ მარტო გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგება სიმართლის გამოსავლინებლად საქმარისი არ არის. გამომძიებელ ქორიძის საბაქაძმდებელი აქტი, რომელიც 3 წელიწადია საქ. ცენტრალურ კომიტეტში იმყოფება ისე სერიოზულა, რომ მისი ქუქუისაგან განწმენდა. აუცილებლად, მოითხოვს საჯარო სასამართლოს.

შუხნალი „მე რ ა ნ ი“

თავისუფლების მოპოვებისათვის გაწეულ ბრძოლასა და მუშაობაში, ყოველ დაპყრობილი ერის, უცხოეთში გახიზნულ პატრიოტებს, ყოველთვის თუ არა მთავარი მნიშვნელოვანი წილი მაინც ჰკუთვნება. ამის მაგალითები მრავალია: საბერძნეთი, იტალია, ირლანდია, ალჟირი და კიდევ სხვები. თვით ისრაელის და საფრანგეთის ჩათვლით.

საქართველოს დაპყრობის შემდეგ უცხოეთში გამოქვლი ემიგრაცია ამ ბრძოლაში დაუყოვნებლივ ჩაება და მაშინ წამოსული თაობა, თითქმის მთლიანად ისევე განვითარდა და რომ არასოდეს ცდა არ დაუკლიათ, არც მუშაობაში და ნელნებით. მათი ადგილი დღეს იმათ უკავიათ, ვინც უფრო გვიან, უმთავრესად აგვისტოს აჯანყების და უკანასკნელი მსოფლიო ომის შედეგად მოხდნენ ემიგრაციაში. ამათში პირველთა ჰასაკი 70 წელს გადაცილებულია ხოლო მეორეთა — 60 წლის მახლობელია. ამგვარად ცხადია, რომ ვინაიდან საქართველოდან ემიგრაციის მხოლოდ კანტიკუნტაბა თუ ემბრება ვინმე, შემცველი თაობის პრობლემა უკვე დასმულია.

ამ პრობლემის გადაწყვეტის პირველი ნაბიჯია ეურნალი „მერანი“-ს გამოსვლა. ამ ეურნალის გარშემო შემოკრებილია, უცხოეთში დაბადებულ ქართველ ახალგაზრდათა ჯგუფი, რომელთაგან ამ გამოცემის სარედაქციო კოლეგიაში შედიან: გივი ბუგიაშვილი, (ამა დრის ეურნალის დირექტორი), ვია სარჯველაძე და ოთარ ზურაბიშვილი.

ეურნალი გამოდის ფრანგულ ენაზე. მის ყდას ამშვენებს სტილიზებული გამოსახულება ფრთოსან მერანისა, რომლის ზემოთ მოთავსებულია ეურნალის სახელი „მერანი“. ჯერ ფრანგულად მერე ქართულად, ხოლო სახელის ქვემოთ, უფრო წერლი ასობით — ფრანგული წარწერა „კონტრაბუსიონ ა ლა კოზ ეიორჟინ“ (წელიწადი ქართულ საქმეში). გარეკანის შიშინთა მხარეზე დაბ

ლია ეურნალის დევიზი: ნ. ბარათაშვილის „მერანი“-ს მერე ტაბის სამი პირველი სტრიქონი. („ცულთ ხომ მაინც არ ჩაივლის...“): ტექსტი მოყვანილია ფრანგულად და იგი ამოღებულია განსვენებულ ლ. ზურაბიშვილის მიერ შესრულებულ თარგმანიდან, რომელიც ამ შემთხვევისა გამო, პირველ გვერდზე მთლიანად არის დაბეჭდილი.

ეურნალში მოთავსებულია წერილები: ვია სარჯველაძის, სალომე დარბაისელის, გიორგი წერეთლის და ოთარ ზურაბიშვილის ხელის მოწირით და აგრეთვე დაბეჭდილია. ამონაწერების სახით, მერალი ნოდარ წულეისკრის სიტყვა, რომლითაც მან ეძ. შვეარდნაძეს მიმართა მწერალთა კავშირში, გარუსების პოლიტიკის სამხილებლად და ქართულ ენის დასაცავად.

ის ფაქტი, რომ ამ ეურნალის გამოცემას თან არ ახლავს არც დეკლარაცია, არც დაპირებები, და საქმე დაწყებულია ხმაურით თუ რეკლამის გარეშე, და რომ ეს ახალგაზრდები თავიანთ მოქმედებას, თავმდაბლად, ქართულ საქმეში შეტანილ წვლილს არქმევენ, სერიოზულობის სახეს ანიჭებს ამ ახალგაზრდა მამულიშვილთა სანაქებო ნაბიჯს, და ეს სერიოზულობა უკვე ჩანს ამ გამოცემაში შინაარსის ხარისხიდან, რომელიც „დამწყებთა“ დონეზე ბევრად უფრო მაღალია.

ყოველ შეგნებულ ქართველს ვაღიარებ, ამ ახალგაზრდებს წარმატება უსურვოს, წახალისოს, უშეგლოს.

მ. ქ.

რომანი ანტუან კომპანიონისა

ბ რ ძ ო ლ ე ბ ი

გასულ წლის მიწურულში ანტუან კომპანიონმა, ფრანგულ ენაზე ავთოსკა რომანი, რომელსაც „ბრძოლები“ ეწოდება. ავტორს, მოთხრობისათვის წინ წაუძმდვარება ადმირალ ჟუბელინის სიტყვები: „ბრძოლას რომ გავუძმო ჩემთვის საჭიროა სიყვარული.“

ვისაც ბატონ ანტუანის ამბავი გაუგონია, ის აღვიღად მიხვდება, როგორც სათურის ისე დღეების არჩევის ილუმალს. 40 წელზე მეტია რაც ის ავადმყოფ იბამ ლოგინზე მიაჯაჟა. და მართლაც, რამდენი სიყვარული და რა ძლიერი რწმენა უნდა არსებობდეს მასში, რომ სასოება არ მოესპოს, სულით არ დაეცეს. კიდევაც სხვადასხვა ჩანს ეს სიყვარული მთელ მის მოთხრობის ცხატეზე. მის უყვარს მისი ოჯახის წევრები, უყვარს მეგობრები, უყვარს ქუთათის, სადაც ის დაიბადა და გაჩაზრა, უყვარს საქართველო. ...

შუნი, მტრობა, სიძულელი ამ თხრომიდან გამოირიცხულია. „ბრძოლები“ უმთავრესად წარმოადგენს ავტორის ბავშვობის და ჭაბუკობის მოგონებებს. მასში აღწერილია ცოცხალი ამბები. ავტორის მიერ ნახული, გაგონილი, გახსენილი, და ამიტომ ძვირფასი მასალა იმ ხანის საქართველოს გასაგებად. ხოლო ის ხანა მნიშვნელოვანი ხანაა, იგი შეიცავს 1905 წლიდან 1924 წლამდე, ე. ი. საქართველოს დამოუკიდებლობის წინ, დამოუკიდებლობის დროს და საბჭოთა რუსეთის ოკუპაციის პირველ წლებს.

„ბრძოლებში“ სხარტად აღწერილია აღნიშნულ ხანის საქართველოს პოლიტიკური ვითარება, გეოგრაფიული მდებარეობა, სხვა და სხვა კუთხეების ყოფა, ადგილები. ქალაქების რაობა (განსაკუთრებით ქუთაისი და თბილისი) ქართველი კაცის ხასიათი, მისი ბუნების დიდებითა და უარყოფითი მხარეები. თანამედროვე ამბებში ისტატურად ჩაქსოვილია საქართველოს დიდებული წარსული. კოლხეთი, იბერია, თამარ მეფე, შოთა რუსთაველი და სხვა. რაც არა ქართველ მკითხველს საკმარის ნადავს უქმნის ინტერესი გაუღვივოს, რომ შემდეგ უკეთ შეისწავლოს ქართული ცივილიზაცია.

წიგნის მეორე განყოფილებაში ავტორს მოუთავსებია მის მიერ ნათარგმნი „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსი და ლეგენდა „ოქრის საწმისზე“, რაც ერთგვარ პარონიამია ძირითად მოთხრობასთან და წარმოადგენს მნიშვნელო-

ვან წვილს ქართულ ცივილიზაციის პოპულარიზაციის ფრანგ მკითხველთა შორის.

ბატონი ანტუანი გვიბრძობა, რომ მათე-გაგონებებს მისი რომანის მეორე ნაწილს. გულწრფელად უსურვებთ დღევანდელობას და წარმატებას.

გ. ნოზაძე.

თავისუფლების ტრიბუნის ანგარიშები

ოთხი თვის ქრისტიანე დღიანი (ცოტნეს ასული, ბაბუა მიშა) გარდაცვალებიდან ორ წლისთავზე	
ნოზაგონარად	48,76
მარია ბრაუნეი, ქმრის გეორგ ბრაუნის	
ნოზაგონარად	338,70
მკრბ კვიტაშვილი	100,00
ვლისხაზდ ვაში	50,00
ქეთევან ბელი	50,00
კარლო ინცარიძე	100,00
გრიგოლ ლომაძე	50,00
გრავოლ წერეთელი	50,00
ნანეტია გოჯაშვილი	100,00
ისიდორე გაუონია	146,00
ალექსანდრე მელივა	200,00
ალექსანდრე ბარკალაია	100,00
მირიან მელუა	100,00
ტურფა და შია ქეიშვილების (100 დოლარი)	464,00
შალვა კალანდანი	100,00
ქეიმი გიორგი კორძია	100,00
შარლი ცინცაძე	93,02
ნინო კვავლასია	46,40
ვალია კვდიანი	50,00
ვიტალი უგრეხელიძე	16,60
იონა გუნია	10,00

	ჯამი	2.208,48
ტ.-ის № 11—12 ანგარიშით სალაროში დარჩა		1.870,05
მთელი შემოსავლის ჯამი		4.078,53

გასავალი, ო. ტ. № 11—12-სათვის:	
სტამბის ხარჯები	1692,50
საფოსტო ნიშნებზე	660,95
კონვერტებისათვის	54,00
საფოსტო მანდატების ტაქსა	11,75

	სულ გასავალი	2.419,20
ამრიგად, 31 იელის სალაროში დარჩა		1.659,33